



# ანგარიში

გაწეული საქმიანობის შესახებ

2018 წლის I კვარტალი

## შინაარსი

სამართლებრივი უზრუნველყოფა.....	1
საფინანსო საქმიანობა .....	3
ტყის აღრიცხვა .....	9
ტყის მოვლა-აღდგენა.....	10
ტყითსარგებლობა.....	122
დამზადებული მერქნული რესურსი (მიღება-ჩაბარებით).....	155
სახელმწიფო კონტროლის სფეროში განხორციელებული საქმიანობა.....	166
პროგრამებზე, საერთაშორისო ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებზე მუშაობა .....	20
საზოგადოებასთან ურთიერთობა და განათლება.....	233
ადამიანური რესურსების მართვა და საქმისწარმოება.....	255

## სამართლებრივი უზრუნველყოფა

### ნორმატიული აქტები:

1. მომზადდა და საქართველოს მთავრობის 2018 წლის 2 თებერვლის N55 დადგენილებით მიღებული იქნა „ტყითსარგებლობის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 20 აგვისტოს №242 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე “საქართველოს მთავრობის დადგენილება; *(სოციალური ჭრის წესებში ცვლილებების შეტანასთან დაკავშირებით, ასევე სპეციალური მიზნით ტყითსარგებლობისათვის გადახდილი საკომპენსაციო თანხების მიზნობრიობასთან დაკავშირებით და სხვა)*;
2. მომზადდა და მიღებული იქნა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 6 მარტის N2-131 ბრძანება საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - „ეროვნული სატყეო სააგენტოს თანამშრომლის განმასხვავებელი ნიშნების მქონე სპეციალური ტანსაცმლის (უნიფორმის), სამსახურებრივი პირადობის მოწმობისა და ლუქის ნიმუშების დამტკიცების შესახებ“;
3. მომზადდა და სამინისტროში გაიგზავნა „საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ეროვნული სატყეო სააგენტოსათვის „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ შეზღუდვაზე გამონაკლისის დაშვების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის განკარგულების პროექტი;
4. მომზადდა და სამინისტროში გაიგზავნა „საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ეროვნული სატყეო სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2016 წლის 26 დეკემბრის N50 ბრძანებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე" საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის ბრძანების პროექტი“.

### საკანონმდებლო აქტები:

**მზადდება:** საქართველოს კანონპროექტი „ტყის ფონდის მართვის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის შესახებ“ (ტყის ფონდის ფიზიკური დაცვის ფუნქციის განმახორციელებელ ნორმებში ცვლილებების განხორციელებასთან დაკავშირებით).

„საქართველოს ტყის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტი (აკადიის კორომებში პირწმინდა ჭრის დაშვების თაობაზე).

### სასამართლოებში განხილული და მიმდინარე საქმეები

სააგენტოს წარმომადგენლობა საერთო სასამართლოებში განხორციელდა - 14 საქმეზე;  
სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს სასარგებლოდ დაკმაყოფილდა - 5 საქმე;  
აღსრულებაშია სასამართლოს მიერ კანონიერ ძალაში შესული - 2 გადაწყვეტილება

მიმდინარეა - 9 საქმე;

**მიმდინარე პერიოდისათვის რეგიონული სატყეო სამსახურების მიერ განხილული და მიმდინარე საქმეები:**

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის საქმეზე გამოვლინდა და შედგენილია - 698 ოქმი;

სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნის მქონე - 36 საქმე;

სასამართლოში განსახილველად გადაიგზავნა - 690 საქმე;

სასამართლომ განიხილა - 466 საქმე;

მიმდინარეა - 224 საქმე.

## საფინანსო საქმიანობა

### ინფორმაცია ბიუჯეტის შესრულების შესახებ

სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს, 2018 წლისათვის, „საქართველოს 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონისა და საქართველოს მთავრობასთან შეთანხმებული ბიუჯეტის (საქართველოს მთავრობის N356 განკარგულება 14.02.18.) შესაბამისად, სააგენტოს შემოსულობები განესაზღვრა 24 085,0 ათ. ლარის ოდენობით, აქედან შემოსავლები - დაფინანსება საბიუჯეტო სახსრების სახით - 10 445,0 ათ. ლარი, საკუთარი შემოსავლებიდან - 13 640,0 ათ. ლარის ოდენობით. გადასახდელები დაგეგმილია სულ 25 253,0 ათ. ლარის ოდენობით, აქედან, საბიუჯეტო სახსრების ნაწილში - 10 445,0 ათ. ლარის ოდენობით, ხოლო კანონმდებლობით ნებადართული სხვა (საკუთარი) შემოსავლებიდან - 14 808,0 ათ. ლარის ოდენობით.

წლიური დაზუსტებული გეგმით, პერიოდის დასაწყისისთვის არსებული ფულადი სახსრების ნაშთის (2'168,5 ათ. ლარი) ცვლილებამ (კლებამ) შეადგინა - 1'168,0 ათ. ლარი.

ათ. ლარი

დასახელება	2018 წლის I კვარტლის დაზუსტებული გეგმა			2018 წლის I კვარტლის ფაქტი			2018 წლის I კვარტლის შესრულება %		
	მთლიანი ბიუჯეტი	მათ შორის		მთლიანი ბიუჯეტი	მათ შორის		მთლიანი ბიუჯეტი	მათ შორის	
		სახელმწიფო ბიუჯეტი	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტი	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტი	საკუთარი შემოსავლები
ნაშთი პერიოდის დასაწყისისათვის			2,168.5			2,168.5			
შემოსულობები	4,932.3	2,523.9	2,408.4	4,573.5	2,438.9	2,134.6	92.7%	96.6%	88.6%
შემოსავლები	4,932.3	2,523.9	2,408.4	4,573.5	2,438.9	2,134.6	92.7%	96.6%	88.6%
მ.შ. საბიუჯეტო სახსრები	2,523.9	2,523.9	0.0	2,438.9	2,438.9	0.0	96.6%	96.6%	
მ.შ. საკუთარი შემოსავლები	2,408.4	0.0	2,408.4	2,134.6	0.0	2,134.6	88.6%		88.6%
გადასახდელები 31 10 (ნაერთი)	4,696.1	2,523.9	2,172.2	4,020.8	2,438.9	1,581.9	85.6%	96.6%	72.8%
გადასახდელები 31 10 01 (აპარატი)	3,729.6	2,513.9	1,215.7	3,546.9	2,436.5	1,110.3	95.1%	96.9%	91.3%
გადასახდელები 31 10 02 (მოვლა-აღდგენის ღონისძიებები)	90.0	10.0	80.0	50.2	2.4	47.8	55.8%	24.0%	59.8%
გადასახდელები 31 10 03 (ტყითსარგებლობის ღონისძიებები)	832.5	0.0	832.5	423.7	0.0	423.7	50.9%	0.0%	50.9%

გადასახდელი ი 31 10 04 (ტყის აღრიცხვა- ინვენტარიზაცია)	44.0	0.0	44.0	0.0	0.0	0.0	0.0%	0.0%	0.0%
ნაშთის ცვლილება	236.2	0.0	236.2	552.7	0.0	552.7			

• საბიუჯეტო სახსრები

2018 წლისათვის სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებები განსაზღვრულია 10 445,0 ათ. ლარით, აქედან აპარატის ხარჯებისათვის დაიგემა - 9 188,0 ათ. ლარი, ხოლო სატყეო ღონისძიებებისათვის - 1 257,0 ათ. ლარი.

საანგარიშო პერიოდში, წლიური საბიუჯეტო სახსრებიდან დაგეგმილი იქნა ხარჯები 2 523,9 ათასი ლარის (წლიური მოცულობის 24%-ის) ოდენობით, ვალდებულება აღებულ იქნა 2 510,8 ათ. ლარზე (გეგმის 99%), ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 2 438,9 ათ. ლარი (დაგეგმილი მოცულობის 96,6%). აქედან:

სააგენტოს აპარატში დაგეგმილი იქნა გადასახდელები 2 513,9 ათ. ლარის ოდენობით, ვალდებულება აღებულ იქნა 2 508,4 ათ. ლარზე (გეგმის 100%), ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 2 436,5 ათ. ლარი (გეგმის 96,6%).

- ✓ შრომის ანაზღაურების ფონდში დაგეგმილი 2 084,3 ათ. ლარიდან, რომელიც წარმოადგენს ძირითადი სამტატო ერთეულების შრომის ანაზღაურების (ხელფასის) ფონდს, ათვისებული იქნა 2 076,9 ათ. ლარი (გეგმის 99,6%);
- ✓ საქონელი და მომსახურების მუხლით, მიმდინარე წლის პირველი კვარტლის დაზუსტებული გეგმით გათვალისწინებული იქნა 394,6 ათ. ლარის ხარჯის გაწევა, რომლის საკასო შესრულებამ შეადგინა 333,5 ათ. ლარი (გეგმის 85%). აქედან, მივლინებებზე მიმართული იქნა 22,0 ათ. ლარი, ოფისის ხარჯებისათვის - 38,6 ათ. ლარი, ტრანსპორტის მოვლა-შენახვაზე - 211,4 ათ. ლარი, ხოლო სხვა დანარჩენ საქონელსა და მომსახურებაზე - 61,5 ათ. ლარი.
- ✓ სოციალური უზრუნველყოფის მუხლით დაგეგმილი იქნა 27,5 ათ. ლარი, რომლის საკასო შესრულებამ შეადგინა 23,6 ათ. ლარი (გეგმის 86%).
- ✓ „სხვა ხარჯებისთვის“ (სახელმწიფო ბაჟი სასამართლოებში განსახილველ საქმეებზე და სხვ.) – დაგეგმილი იქნა 7,5 ათ. ლარი, აღნიშნული მუხლით საკასო გადახდა განხორციელდა 2,5 ათ. ლარზე (გეგმის 33%).

სააგენტოს ღონისძიებებიდან მიმდინარე წლის პირველ კვარტალში საბიუჯეტო სახსრებიდან ხარჯების გაწევა დაიგემა ერთ ღონისძიებაზე:



- ✓ „ტყის მოვლა-აღდგენის ღონისძიებებისათვის“ – 10,0 ათ. ლარი, საიდანაც ვალდებულება აღებული იქნა და საკასო შესრულებამ შეადგინა 2,4 ათ. ლარი (გეგმის 24%). საკასო შესრულება სრულად მიმართული იქნა სხვა დანარჩენ საქონელსა და მომსახურებაზე - ნიადაგის კვლევა- ექსპერტიზის და შემოწმებების ხარჯი.

• **კანონმდებლობით ნებადართული სხვა (საკუთარი) შემოსავლები და გადასახდელები**

საბიუჯეტო სახსრების გარდა, სააგენტოს, 2018 წელს დაგეგმილი აქვს სხვა (საკუთარი) შემოსავლების სახით მიიღოს 13 640,0 ათ. ლარი. აქედან: მომსახურების საფასურის, ტყითსარგებლობის წლიური საფასურის და სხვა კანონით ნებადართული შემოსავლების სახით - 3 495,0 ათ. ლარი; 8 905,0 ლარის მიღება დაგეგმილია მერქნული რესურსის დამზადებისა და აუქციონის წესით გაცემის სახით მისაღები შემოსავლებიდან; 240,0 ათ. ლარი - ბანკში დეპოზიტზე დარიცხული პროცენტიდან, ხოლო 1 000,0 ათ. ლარი - საკომპენსაციო თანხებიდან;

ფაქტობრივად, ეროვნული სატყეო სააგენტოს მიერ მიღებულმა შემოსავლებმა მიმდინარე წლის 3 თვეში შეადგინა **2 134,5 ათ. ლარი**. მათ შორის:

- ხე-ტყის დამზადების ბილეთების გაცემიდან - 101,7 ათ. ლარი (შემოსავლების 4,8%);
- ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტის გაცემა და დაფირნიშება - 30,0 ათ. ლარი (1,4%);
- ტყითსარგებლობის ხელშეკრულებებიდან (საკომუნიკაციო ანძების განთავსებისთვის ტყის ფონდის ტერიტორიაზე) – 559,4 ათ. ლარი (26,2%);
- ტყითსარგებლობის ხელშეკრულებებიდან (ტყის ფონდის სარგებლობა) – 1,6 ათ. ლარი (0,1%);
- ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტის ფორმისა და სპეციალური ფირნიშების რეალიზაციიდან - 12,2 ათ. ლარი (0,6%);
- მერქნული რესურსის აღრიცხვის მომსახურების ღირებულებებიდან - 96,8 ათ. ლარი (4,5%);
- ტყის ფონდით სპეციალური დანიშნულებით სარგებლობისთვის საკომპენსაციო საფასურიდან - 115,2 ათ. ლარი (5,4%);
- მერქნული რესურსის რეალიზაციიდან - 1 173,9 ათ. ლარი (55 %) ;
- სხვა დანარჩენი (ბანკის სარგებელი) – 43,7 ათ. ლარი (2%);



საანგარიშო პერიოდში, საკუთარი შემოსავლებიდან გასაწევი ხარჯების წლიური მოცულობიდან (14 808,0 ათ. ლარი) დაგეგმილი იქნა წლიური მოსალოდნელი ხარჯის 15%- 2 172,2 ათ. ლარი. ფაქტობრივად, პირველი კვარტლის ვალდებულებებმა შეადგინა 1 683,3 ათ. ლარი (გეგმის 77%), საიდანაც საკასო გადახდა განხორციელდა 1 581,9 ათ. ლარზე (გეგმის 73%). აქედან:

**სააგენტოს აპარატში** პირველ კვარტალში დაგეგმილი იქნა გადასახდელები 1 215,7 ათ. ლარის ოდენობით, ვალდებულება აღებულ იქნა 1 143,4 ათ. ლარზე (გეგმის 94%), ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 1 110,3 ათ. ლარი (გეგმის 91%). მათ შორის:

- ✓ „საქონელი და მომსახურების“ მუხლით ვალდებულება აღებული იქნა 492,8 ათ. ლარზე (გეგმის 95%), საიდანაც საკასო გადახდა განხორციელდა 471,6 ათ. ლარზე (გეგმის 91%); მ.შ. შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურებაზე მიიმართა - 300,9 ათ. ლარი, მივლინებებზე - 1,1 ათ. ლარი, ოფისის ხარჯებზე - 70,7 ათ. ლარი, წარმომადგენლობით ხარჯებზე 0,2 ათ. ლარი, ტრანსპორტის მოვლა-



შენახვაზე - 78,1 ათ. ლარი, სხვა დანარჩენი (ექსპერტიზის, შენობა ნაგებობების დაცვის ხარჯი და სხვ) - 20,5 ათ. ლარი.

- ✓ „გრანტები სხვა დონის სახელმწიფო ერთეულების“ მუხლით პირველ კვარტალში გათვალისწინებული იქნა 216,0 ათ ლარი, რომელიც სრულად იქნა მიმართული სახელმწიფო ბიუჯეტში.
- ✓ „სხვა ხარჯებისთვის“ პირველ კვარტალში გათვალისწინებული იქნა 478,8 ათ ლარი, (კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადები: დღგ, ქონების, მოგების და სხვ; სატრანსპორტო საშუალებების დაზღვევის ხარჯი) – ვალდებულება აღებული იქნა 434,6 ათ. ლარზე (გეგმის 91%). აღნიშნული მუხლით საკასო გადახდა განხორციელდა 422,7 ათ. ლარზე (გეგმის 88%).
- ✓ „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლით დაგეგმილი იქნა 0,5 ათ. ლარი- საიდანაც საკასო გადახდა განხორციელდა 0,1 ათ. ლარზე (გეგმის 10%).

**სააგენტოს ღონისძიებებიდან** მიმდინარე წლის პირველ კვარტალში საკუთარი შემოსავლებიდან ხარჯების გაწევა დაიგეგმა 3 ღონისძიებაზე:

- ✓ „ტყის მოვლა-აღდგენის ღონისძიებებისათვის“ – 80,0 ათ. ლარი, საიდანაც ვალდებულება აღებული იქნა და საკასო შესრულებამ შეადგინა 47,8 ათ. ლარი (გეგმის 60%). საკასო შესრულება სრულად მიმართული იქნა სხვა დანარჩენ საქონელსა და მომსახურების მუხლით (სანიტარული ჭრა).
- ✓ „ტყითსარგებლობის ღონისძიებებისათვის“ – 832,5 ათ. ლარი, საიდანაც ვალდებულება აღებული იქნა 492,0 ათ. ლარზე, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 423,7 ათ. ლარი (გეგმის 51%), მათ შორის:
  - „საქონელი და მომსახურების“ მუხლით საკასო შესრულებამ შეადგინა 226,5 ათ. ლარი, აქედან, შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურებაზე მიმართული იქნა 39,1 ათ. ლარი, ტრანსპორტის მოვლა-შენახვაზე - 17,0 ათ. ლარი, ხოლო სხვა დანარჩენ საქონელსა და მომსახურებაზე 170,4 ათ. ლარი (ხე-ტყის დამზადება).
  - „სხვა ხარჯების“ მუხლით საკასო შესრულებამ შეადგინა 197,2 ათ. ლარი (მერქნული რესურსის მოსაკრებელი).
- ✓ „ტყის აღრიცხვა-ინვენტარიზაციის ღონისძიებებისათვის“ პირველ კვარტალში დაგეგმილი იქნა 44,0 ათ. ლარი, რომლის საკასო შესრულება განხორციელდება მეორე კვარტალში.

### **დაფინანსება სხვა წყაროებიდან**

2016 წლის ბოლოს ხელი მოეწერა „იმერეთის რეგიონში დაავადებული წაბლნარი ტყეების აღდგენის და განახლების პროგრამის და ეკო-პრემიების პროგრამის შესახებ" ხელშეკრულებას მიზნობრივი

დაფინანსების შესახებ საქართველოს მთავრობასა და ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანიას (BTC Co) და სამხრეთ კავკასიის მილსადენის კომპანიას (SCP Co) შორის, რომლის თანახმად სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს მიერ მისაღები თანხა შეადგენს 950 000 აშშ დოლარს (ცხრას ორმოცდაათი ათასი აშშ დოლარი). აღნიშნული თანხა დარეგისტრირდა ფულადი გრანტების/მიზნობრივი დაფინანსების აღრიცხვის ელექტრონულ ბაზაში, რომლის ათვისება დაიწყო 2017 წლის მეორე კვარტლიდან. 2018 წელს დაგეგმილი მოცულობიდან (1'294,4 ათასი ლარი) პირველ კვარტალში ხარჯების გაწევა გრანტის ფარგლებში არ განხორციელებულა.

#### *ძირითად საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია*

- ✓ მომზადდა და მიღებული იქნა საქართველოს მთავრობის განკარგულება (N356 14.02.18) საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სსიპ-ეროვნული სატყეო სააგენტოს 2018 წლის ბიუჯეტის, საშტატო ნუსხისა და სახელფასო ფონდის შეთანხმების თაობაზე;
- ✓ მომზადდა ცვლილებები სააგენტოს 2018 წლის ბიუჯეტის ხარჯების კვარტალურ განწერაში (კვარტლებსა და კლასიფიკაციის მუხლებს შორის დაზუსტების მიზნით);
- ✓ მომზადდა სააგენტოს 2017 წლის ანგარიში.
- ✓ „ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტის შედგენის მიზნით განსახორციელებელ ღონისძიებათა შესახებ" საქართველოს მთავრობის 2018 წლის 1 მარტის N107 დადგენილების შესაბამისად, მომზადდა და სამინისტროს წარედგინა ინფორმაცია 2019-2022 წწ საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმის შესახებ.

## ტყის აღრიცხვა

სახელმწიფო ტყის ფონდის ფართობების შესახებ მომზადდა ინფორმაცია (სატაქსაციო დახასიათება);

- სასოფლო სამეურნეო და არასასოფლო სამეურნეო დანიშნულებით ტყითსარგებლობა – 116 ჰა.
- ტყის ფონდის ტერიტორიაზე წიაღითსარგებლობისათვის ფართობების შესწავლა - მოთხოვნილი იქნა და დამუშავდა 3034935 კვ.მ აქედან ტყის ფონდშია - 1919296 კვ.მ.
- ტყის ფონდის ტერიტორიაზე სპეციალური დანიშნულებით სარგებლობა -125942 კვ.მ.

ტყის ფონდიდან ამოსარიცხი ფართობების შესწავლა -მოთხოვნილი იყო 293 701 კვ.მ. ფართობზე. ტყის ფონდიდან ამორიცხვაზე უარი გაცემულია 1 184 867 კვ.მ. ფართობზე.

## ტყის მოვლა-აღდგენა

### ქვემო ქართლი

შესწავლილი იქნა ტყის მოვლა-აღდგენის სამმართველოს 2018 წლის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ტყის აღდგენისათვის განსაზღვრული ფართობები დმანისის სატყეო უბნის ტერიტორიაზე;

### შიდა ქართლი

შესწავლილ იქნა ტყის ბუნებრივი განახლების ხელშეწყობისათვის განსაზღვრული ფართობი ქვიშხეთი, სურამის სატყეო უბნის ტერიტორიაზე (10,0 ჰა);

შედგენილი და დამტკიცებული იქნა ქვიშხეთი-სურამის სატყეო ტერიტორიაზე ტყის ბუნებრივი განახლების ხელშეწყობისათვის განსაზღვრული პროექტი 10,0 ჰა ფართობზე;

### გურია

განხორციელდა ტყის აღდგენის ღონისძიებები ოზურგეთი-ლანჩხუთის სატყეო უბნის მთისპირის სატყეოს კვ. N1,2-ის ტერიტორიაზე, კერძოდ:

- ბუნებრივი განახლების ხელშეწყობა - 1,2 ჰა ფართობზე;
- ტყის გაშენება 1,0 ჰა ფართობზე;
- აკაციის პლანტაციის გაშენება - 2,0 ჰა ფართობზე;
- განხორციელდა ტყის გაშენება ოზურგეთი-ლანჩხუთის სატყეო უბნის მთის სატყეოში 1,0 ჰა ფართობზე;
- შედგენილი და დამტკიცებული იქნა ტყის ბუნებრივი განახლების ხელშეწყობის პროექტი ჩოხატაურის სატყეო უბნის ბახმაროს სატყეოს ტერიტორიაზე 2,0 ჰა ფართობზე;

### იმერეთი

განხორციელდა გეოლოგიური კვლევა გარემოს ეროვნული სააგენტოს გეოლოგიური დეპარტამენტის სპეციალისტთან ერთად, ტყიბულის სატყეო უბნის საწირეს სატყეოში 23,5 ჰა ფართობზე; ტყის მოვლა-აღდგენის სამმართველოს სპეციალისტების მიერ დამზადებული იქნა ბზის კალმები (6000 ცალი) სამეგრელო-ზემო სავანეთის კოლხეთის სატყეო უბნის ტერიტორიაზე მოწყობილ ტყის დროებით სანერგეში დარგვის მიზნით;

### სამეგრელო-ზემო სავანეთი

კოლხეთის სატყეო უბნის ხეთის სატყეოში მოწყობილ ტყის დროებით სანერგეში განხორციელდა 6000 ცალი ბზის კალმის დარგვა;

### სამცხე-ჯავახეთი

2017 წლის 20-26 აგვისტოს ხანძრით სოფ. დაბის მიმდებარედ განადგურებული ტერიტორიის აღდგენის მიზნით განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები:

- შესწავლილი იქნა და მომზადდა ნახანძრალი ტერიტორიის გეოლოგიური დასკვნა;
  - განხორციელდა ნახანძრალი ტერიტორიის ნიადაგური პირობების მდგომარეობის შესწავლა, შედგენილი იქნა შესაბამისა დასკვნა;
  - განხორციელდა ნახანძრალი ტერიტორიის დეტალური შესწავლა სოფ. დაბის მიმდებარედ 2017 წლის 20-26 აგვისტოს ხანძრით განადგურებულ ტერიტორიაზე ტყის აღდგენის ღონისძიებების განხორციელების მიზნით (243 ჰა ფართობზე);
- მიმდინარეობს ნახანძრალ ტერიტორიაზე ტყის აღდგენის პროექტის დამუშავება.  
ტყის აღდგენის ღონისძიებების განხორციელების მიზნით შედგენილი იქნა ტექნიკური დავალებები აღსადგენი ფართობებისათვის შესაღობი მასალის (ეკლიანი მავთული, ბოძი, სამაგრი) შესყიდვაზე.

**მავნებელ-დაავადებების წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებები:**

- შესაბამისი ტექნიკური დავალების საფუძველზე გამოცხადდა ტენდერი სამცხე-ჯავახეთის წიწვოვან კორომებში გავრცელებული მბეჭდავი ქერქიჭამიას მონიტორინგის მიზნით საჭირო 6000 ცალი ფერომონის შესყიდვაზე;
- შესაბამისი ტექნიკური დავალების საფუძველზე გამოცხადდა ტენდერი ბზის აღურას მონიტორინგის მიზნით 1000 ცალი მწერმჭერისა და 4000 ცალი ფერომონის შესყიდვაზე;
- შესაბამისი ტექნიკური დავალების საფუძველზე გამოცხადდა ტენდერი ბზის აღურას წინააღმდეგ ბრძოლისთვის 6600 ლიტრი ბიოლოგიური პრეპარატის შესყიდვაზე (რომელიც გამოყენებული იქნება იმერეთში, გურიაში, სამეგრელო-ზემო სვანეთსა და რაჭა-ლეჩხუმი ქვემო სვანეთის 550 ჰა. ფართობზე).

## ტყითსარგებლობა

### ინფორმაცია ტყითსარგებლობის გეგმების განხილვის შესახებ:

განხორციელდა შ.პ.ს „რიონი ვუდი“-ზე გაცემული ხე-ტყის დამზადების სპეციალური ლეცენზიით გათვალისწინებული ფართობის ტყითსარგებლობის გეგმის ცვლილება და დამტკიცდა მინისტრის 2018 წლის 29 იანვრის №2-40 ბრძანებით.

### ინფორმაცია სპეციალური დანიშნულებით ტყითსარგებლობის შესახებ:

*სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსის ბრძანებების საფუძველზე სპეციალური დანიშნულებით ტყითსარგებლობის უფლება მიენიჭათ შემდეგ იურიდიულ და ფიზიკურ პირებს..*

1. სს "სილქნეტი"
2. სს "ენერგო პრო ჯორჯია"
3. შ.პ.ს "ქართული საინვესტიციო ჯგ. ენერჯია"
4. შ.პ. "შარა-გზამშენი პირველი"
5. სს "ენერგო პრო ჯორჯია"
6. სს "ენერგო პრო ჯორჯია"
7. შპს "საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია"
8. სს "ჯორჯიან კოპერ ენდ გოლდი"
9. სს "ენერგო პრო ჯორჯია"
10. სს "ენერგო პრო ჯორჯია"
11. სს "ენერგო პრო ჯორჯია"
12. სს "ენერგო პრო ჯორჯია"
13. სს "ენერგო პრო ჯორჯია"
14. სს "ენერგო პრო ჯორჯია"
15. სს "ენერგო პრო ჯორჯია"
16. სს "ენერგო პრო ჯორჯია"
17. შ.პ.ს "კავკასიის სამთო ჯგუფი"
18. სს "ენერგო პრო ჯორჯია"
19. შ.პ.ს "RMG GOLD"
20. სს "ენერგო პრო ჯორჯია"
21. შ.პ.ს "ზ.მ."
22. შ.პ.ს "მერს 2016"
23. სს "ენერგო პრო ჯორჯია"
24. ი/მ მზისანა მინაშვილი

### ინფორმაცია გრძელვადიანი (იჯარები) ტყითსარგებლობის შესახებ:

გრძელვადიანი დანიშნულებით (იჯარები) ტყითსარგებლობასთან დაკავშირებით განხილულ იქნა 8 განცხადება და მიმდინარეობს საქმისწარმოება. ასევე სამინისტროში გადაგზავნილია (19 მოქალაქის

განაცხადი) მიწის ფართობებზე ტყითსარგებლობის ვადის განსაზღვრის შესახებ საქართველოს მთავრობის განკარგულების პროექტები.

### ინფორმაცია სასარგებლო წიაღისეულის შესწავლა მოპოვების შესახებ:

სასარგებლო წიაღისეულის შესწავლა მოპოვების ლიცენზიის გაცემისათვის მიზანშეწონილობის თაობაზე, განხილულ იქნა გარემოს ეროვნული სააგენტოდან შემოსული 16 კორესპოდენცია. აქედან 2 ფართობზე გაიცა თანხმობა, 14 ფართობზე ლიცენზიის გაცემა მიზანშეწონილად არ იქნა მიჩნეული, ხოლო 6 განაცხადზე მიმდინარეობს საქმისწარმოება.

### საქმისწარმოება საკომუნიკაციო ნაგებობების განთავსებასთან დაკავშირებით:

- ✓ შ.პ.ს „ჯეოსელთან“ გაფორმდა ხელშეკრულება 78 ერთეულ მიწის ნაკვეთზე კავშირგაბმულობის საკომუნიკაციო ნაგებობის განთავსების მიზნით.
- ✓ შ.პ.ს „ჯეოსელ“-თან 2 ერთეულ და შ.პ.ს „მაგთი“-სთან 2 ერთეულ მიწის ნაკვეთზე მიმდინარეობს საქმისწარმოება კავშირგაბმულობის საკომუნიკაციო ნაგებობის განთავსების მიზნით.
- ✓ შპს "ვიონი საქართველო"-ს (ყოფილი შპს "მობიტელი"-ს) 14 ერთეულ მიწის ფართობზე კავშირგაბმულობის საკომუნიკაციო ნაგებობის განთავსების მიზნით, სამინისტროში გადაგზავნილია ტყითსარგებლობის ვადის განსაზღვრის შესახებ საქართველოს მთავრობის განკარგულების პროექტი.

### სატყეო-სამეურნეო გზების საპროგნოზო-საორიენტაციო მონაცემები რეგიონების მიხედვით:

1. იმერეთი - მოწყობა-0.8 კმ; რეაბილიტაცია- 21.4 კმ;
2. სამცხე-ჯავახეთი - მოწყობა-0.0 კმ; რეაბილიტაცია-14.5კმ;
3. სამეგრელო-ზემო სვანეთი - მოწყობა-0.0 კმ; რეაბილიტაცია-0.0 კმ;
4. ქვემო ქართლი - მოწყობა-0.0 კმ; რეაბილიტაცია-0.0 კმ;
5. რაჭა-ლეჩხუმი ქვემო სვანეთი- მოწყობა-7.8 კმ; რეაბილიტაცია-24.0კმ;
6. გურია- მოწყობა-0.8 კმ; რეაბილიტაცია-14.2კმ;
7. შიდა ქართლი - მოწყობა-5.3კმ; რეაბილიტაცია-22.5კმ;
8. მცხეთა-მთიანეთი- მოწყობა-1.5კმ; რეაბილიტაცია-26.0კმ;
9. კახეთი- მოწყობა-0.0კმ ; რეაბილიტაცია-1.0 კმ.

**სულ: 139.8 კმ.** მ.შ. მოსაწყობი-16.2 კმ, სარეაბილიტაციო-123.6 კმ.

### ინფორმაცია I ხარისხის ხე-ტყის (სამასალე) შესახებ:

- ✓ გადაუდებელი აუცილებლობით (ხანძრით, სტიქიური უბედურებით ან/და სხვა ფორსმაჟორული გარემოებით) გამოწვეულ შემთხვევებთან დაკავშირებით, გამოიცა სატყეო სააგენტოს უფროსის ბრძანება **82 მ<sup>3</sup>** I ხარისხის ხე-ტყის გაცემის შესახებ, ხოლო **165 მ<sup>3</sup>** I ხარისხის ხე-ტყის მოთხოვნაზე მიმდინარეობს საქმისწარმოება.

ინფორმაცია ტყის ფონდიდან ამორიცხულ ფართობებზე და სპეციალური ჭრების შედეგად მოპოვებული და დასაწყობებული მერქნული რესურსის შესახებ:

დასაწყობებული მერქნული რესურსის შესახებ ინფორმაცია		
N	რეგიონი	დასაწყობებული (თავისუფალი) მერქნული რესურსი /მ3/
1	კახეთი	456
2	სამეგრელო-ზემო სვანეთი	907
3	იმერეთი	394
4	სამცხე-ჯავახეთი	543
5	მცხეთა-მთიანეთი	300
6	რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთი	576
7	შიდა ქართლი	0
8	ქვემო ქართლი	3285
9	გურია	501
<b>სულ:</b>		<b>6962</b>

განცხორცილდა შემოსულ 6 საქმეზე (ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტის გაწერა და სპეციალური ფირნიშით მარკირება), კანონმდებლობით გათვალისწინებული პროცედურები.



## დამზადებული მერქნული რესურსი (მიღება-ჩაბარებით)

კახეთის რეგიონში I -კვარტალში დამზადდა 337.54 მ<sup>3</sup> მერქნული რესურსი.  
სამეგრელოს რეგიონში I -კვარტალში დამზადდა 1005.37 მ<sup>3</sup> მერქნული რესურსი.  
იმერეთის რეგიონში I -კვარტალში დამზადდა 277.40 მ<sup>3</sup> მერქნული რესურსი.  
სამცხე-ჯავახეთი რეგიონში I -კვარტალში დამზადდა 474.265 მ<sup>3</sup> მერქნული რესურსი.  
სამცხე-ჯავახეთი (სანიტარული) რეგიონში I -კვარტალში დამზადდა 904.49 მ<sup>3</sup> მერქნული რესურსი.  
**სულ 2018 წელს დამზადდა 2 999.065 მ<sup>3</sup> მერქნული რესურსი.**

**2018 წელს რეალიზებული და გადაცემული მერქნული რესურსი ( გარდა სკოლებზე მიყიდული საშემე მერქნული რესურსისა).**

იმერეთი - 646.096 მ<sup>3</sup> მერქნული რესურსი.  
გურია - 155,391 მ<sup>3</sup> მერქნული რესურსი.  
ქვემო ქართლი - 250 მ<sup>3</sup> მერქნული რესურსი (შეშა).  
კახეთი - 336,54 მ<sup>3</sup> მერქნული რესურსი.  
სამცხე-ჯავახეთი (სპეც. ჭრა) – 203,38 მ<sup>3</sup> მერქნული რესურსი.  
რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთი - 497,28 მ<sup>3</sup> მერქნული რესურსი.  
სამეგრელო-ზემო სვანეთი - 2622,07 მ<sup>3</sup> მერქნული რესურსი.  
სამეგრელო-ზემო სვანეთი მაღალმთიანი - 594,48 მ<sup>3</sup> .  
სამცხე (სანიტარული) – 1033,042 მ<sup>3</sup> მერქნული რესურსი.

**სულ: 6 338.279 მ<sup>3</sup> მერქნული რესურსი.**

მათ შორის აუქციონზე გაყიდული 5 743.799 მ<sup>3</sup> მერქნული რესურსი.  
პირდაპირი მიყიდვა (მაღალმთიანი) 594.48 მ<sup>3</sup> მერქნული რესურსი.

## სახელმწიფო კონტროლის სფეროში განხორციელებული საქმიანობა

2018 წლის 1 იანვრიდან 1 აპრილამდე ტერიტორიული სატყეო სამსახურების თანამშრომელთა მიერ გამოვლენილი იქნა 1022 სამართალდარღვევის ფაქტი, მათ შორის, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის - 682 ფაქტი, სისხლის სამართლის - 54 ფაქტი, ხოლო 286 ფაქტზე დაიწერა სავსელი აქტი და გადაიგზავნა სამართალდამცავ ორგანოებში სამართალდამრღვევის გამოსავლენად. უკანონოდ მოპოვებული რესურსის მოცულობამ შეადგინა 5 669,8 მ<sup>3</sup>, გარემოზე მიყენებულმა ზიანის ოდენობამ შეადგინა 640 411.89 ლარი.

სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტო												
გამოვლენილი სამართალდარღვევების ფაქტები 2018 წლის I კვარტალი												
ტერიტორიული ორგანოები (სატყეო სამსახურები)	გამოვლენილი სამართალდარღვევის ფაქტების, სულ	მათ შორის			უკანონოდ მოპოვებული რესურსის რაოდენობა			გარემოზე მიყენებული ზიანის ოდენობა	ზიანი, მათ შორის			ჩამორთმეული რესურსი
		ადმინისტრაციული სამართალდარღვევები	სისხლის სამართალდარღვევები	სამართალდამცავ ნ. (აქტებით)	ხეტყე (კუბ.მ)	სამასალე	საშეშე		ადმინ. საქმეებზე	სისხლის სამართლის საქმეებზე	ნაკლებად მნიშვნელოვანი (აქტებით)	
ქვემო ქართლი	145	56	10	79	1 434.98	0.00	1 434.98	63 613.76	6 273.53	11 524.54	45 815.69	10.809
კახეთი	196	185	10	1	1 511.64	599.13	912.51	275 347.83	10 450.31	264 353.20	544.32	106.86
მცხეთა-მთიანეთი	81	81	0	0	209.71	0.00	209.71	23 615.28	23 615.28	0.00	0.00	1.08
შიდა ქართლი	151	71	1	79	426.53	122.06	304.47	45 611.97	11 264.41	1 690.92	32 656.64	16.94
სამცხე-ჯავახეთი	174	98	16	60	1 128.93	560.10	568.83	109 914.58	17 067.28	64 993.99	27 853.31	82.37
იმერეთი	113	95	10	8	288.35	114.68	173.67	53 785.96	20 213.57	29 651.31	3 921.09	14.03
რაჭა-ლეჩხუმი - ქვემო სვანეთი	66	18	1	47	100.38	20.30	80.08	11 450.38	2 938.22	1 565.65	6 946.51	26.26 მ <sup>3</sup> 25 მირი მოზარდ-აღმონაცენი
გურია	27	24	1	2	69.59	2.85	66.74	5 294.45	3 036.75	1 914.80	342.90	4.558
სამეგრელო - ზემო სვანეთი	69	54	5	10	499.68	50.97	448.73	51 777.68	7 350.70	41 645.23	2 781.76	0
<b>სულ</b>	<b>1 022</b>	<b>682</b>	<b>54</b>	<b>286</b>	<b>5 669.80</b>	<b>1 470.10</b>	<b>4 199.72</b>	<b>640 411.89</b>	<b>102 210.05</b>	<b>417 339.63</b>	<b>120 862.22</b>	<b>262.907</b>

საანგარიშო პერიოდში შიდა კონტროლის სამსახურის თანამშრომლების მიერ შერჩევითი წესით შემოწმებული იქნა ქვემო ქართლის სატყეო სამსახურის დაქვემდებარებაში არსებული ტყის ფონდის ტერიტორია. შემოწმების შედეგად აღრიცხული უკანონო ჭრის საერთო რაოდენობამ შეადგინა 2 463,45 მ<sup>3</sup>, გარემოზე მიყენებულმა ზიანმა შეადგინა - 305 617,17 ლარი.

ინფორმაცია შიდა კონტროლის სამსახურის მიერ ჩატარებულ შემოწმებებზე რეგიონების მიხედვით

N	რეგიონი	შემოწმებათა რაოდენობა	უკანონოდ მოპოვებული მერქნული რესურსის მოცულობა, მ3	გარემოზე მიყენებული ზიანი, ლარი
1	ქვემო ქართლი	3	2 463,45	305 617,17
	<b>სულ</b>	<b>3</b>	<b>2 463,45</b>	<b>305 617,17</b>

ჩატარებული სამსახურებრივი შემოწმებების შედეგად საანგარიშო პერიოდის განმავლობაში მომზადებული იქნა 61 დასკვნა 67 პირის მიმართ, რაზედაც მოხდა შესაბამისი რეაგირება, დისციპლინური პასუხისგებლობის ზომა „შენიშვნა“ გამოეცხადა 19 თანამშრომელს, „გაფრთხილება“ – 17 თანამშრომელს, 26 თანამშრომელს დაუკავდა ხელფასი, ხოლო 6 თანამშრომელი განთავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან.

**2018 წლის 1 იანვრიდან 1 აპრილამდე შიდა კონტროლის სამსახურის მიერ მომზადებული დასკვნები სატყეო სამსახურების მიხედვით**

სატყეო სამსახური	დასკვნა	პიროვნება	შენიშვნა	გაფრთხილება	ხელფასის დაკავება	განთავისუფლ და დაკავებული თანამდებობი დან
გურია	4	4	1	0	3	0
იმერეთი	5	5	3	1	1	0
კახეთი	18	19	2	8	6	4
მცხეთა-მთიანეთი	3	3	3	0	0	0
რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთი	5	5	1	2	2	0
სამეგრელო-ზემო სვანეთი	6	9	2	2	4	1
სამცხე-ჯავახეთი	2	2	1	0	1	0
ქვემო ქართლი	9	9	2	3	3	1
შიდა ქართლი	9	11	4	1	6	0
<b>სულ</b>	<b>61</b>	<b>67</b>	<b>19</b>	<b>17</b>	<b>26</b>	<b>6</b>

ტერიტორიული სატყეო სამსახურების მიერ დახურული იქნა 58 ტყეკავი, ხოლო 2 წლის ვადის გასვლის გამო გაუქმებულ იქნა - 515 ტყეკავი.

2018 წლის 1 იანვრიდან 1 აპრილამდე ტერიტორიული სატყეო სამსახურების მიერ დახურული და გაუქმებული ტყეკაფები								
სატყეო სამსახური	სოციალური		კომერციული		სპეციალური	სააგენტოს სპეციალური ჭრა		მოვლითი
	დახურული	გაუქმებული	დახურული	გაუქმებული	დახურული	დახურული	გაუქმებული	დახურული
გურია	2	6	0	0	0	0	4	0
იმერეთი	6	33	0	0	0	0	0	0
კახეთი	0	155	7	16	5	0	4	0
მცხეთა-მთიანეთი	0	35	4	5	0	0	0	0
რაჭა-ლეჩხუმი-ქვ.სვანეთი	4	42	0	0	0	0	3	0
სამეგრელო-ზემო სვანეთი	0	0	0	0	0	1	5	0
სამცხე-ჯავახეთი	0	27	0	0	0	0	0	4
ქვემო ქართლი	24	97	0	0	1	0	0	0
შიდა ქართლი	0	83	0	0	0	0	0	0
<b>სულ</b>	<b>36</b>	<b>478</b>	<b>11</b>	<b>21</b>	<b>6</b>	<b>1</b>	<b>16</b>	<b>4</b>

**მერქნული რესურსების მართვის ელექტრონული სისტემის განვითარება და მართვა**

სააგენტოში უწყვეტ რეჟიმში მიმდინარეობდა მერქნული რესურსების მართვის ელექტრონული სისტემის ადმინისტრირება, სისტემის მომხმარებელთათვის პრაქტიკული და მეთოდური დახმარების გაწევა.

2018 წლის საანგარიშო პერიოდში ელექტრონულ სისტემაში ინფორმაციასთან წვდომის შესაბამისი იერარქიული დონეების გათვალისწინებით დაშვება მიენიჭა ეროვნული სატყეო სააგენტოს 3 მომხმარებელს.

თვითმმართველი ორგანოების მიერ წარმოდგენილი ფაქტობრივად მაცხოვრებელი კომლის წარმომადგენელთა სიების საფუძველზე ელექტრონულ სისტემაში აისახა 162 პიროვნების მონაცემი (სახელი, გვარი, პირადი ნომერი, მისამართი).

**2018 წლის 1 იანვრიდან 1 აპრილამდე მერქნული რესურსების მართვის ელექტრონულ სისტემაში დარეგისტრირებული მეორე ხარისხის ხე-ტყით მოსარგებლეთა რაოდენობა**

N	მუნიციპალიტეტი	რაოდენობა
1	ასპინძის მუნიციპალიტეტი	2
2	ახალციხის მუნიციპალიტეტი	2
3	ახმეტის მუნიციპალიტეტი	9
4	ბოლნისის მუნიციპალიტეტი	5
5	ბორჯომის მუნიციპალიტეტი	16
6	გურჯაანის მუნიციპალიტეტი	11
7	დუშეთის მუნიციპალიტეტი	7

8	თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი	9
9	თელავის მუნიციპალიტეტი	55
10	თიანეთის მუნიციპალიტეტი	5
11	კასპის მუნიციპალიტეტი	18
12	ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი	3
13	მცხეთის მუნიციპალიტეტი	1
14	სიღნაღის მუნიციპალიტეტი	4
15	ყვარლის მუნიციპალიტეტი	12
16	ხაშურის მუნიციპალიტეტი	2
17	ხულოს მუნიციპალიტეტი	1
	<b>ჯამი</b>	<b>162</b>

## პროგრამებზე, საერთაშორისო ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებზე მუშაობა

22 იანვარს, „საპარტნიორო ფონდში“ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ძიანსის პროვინციის საქმიანი წრეების დელეგაციასთან შეხვედრა გაიმართა. დელეგაციის შემადგენლობაში შედიოდნენ ძიანსის პროვინციის სატყეო დეპარტამენტის გენერალური დირექტორი იენ განძუნი, ქ. განჭოუს სატყეო დეპარტამენტის დირექტორი სუე იოუჩანი, სატყეო დეპარტამენტის ოფისის ხელმძღვანელი ლი ძუნი, საერთაშორისო დეპარტამენტის ხელმძღვანელი ლი უ ციანი, Feishang Forestry Produce Co., Ltd.-ის თავმჯდომარე ჭან გუოლინი, Tonggu Huahui Industry Co., Ltd.-ისა და Feishang Forestry Produce Co., Ltd.-ის თავმჯდომარე სიე იოუხუნი და Tuantuanyuan Furniture Co., Ltd.-ის თავმჯდომარე ლუო ხაილუნი. ფონდში გამართულ შეხვედრას საქართველოს ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსი თორნიკე გვაზავა ესწრებოდა.

შეხვედრაზე მხარეებმა სამომავლო თანამშრომლობის პერსპექტივები განიხილეს. ჩინურმა მხარემ „საპარტნიორო ფონდისა“ და საქართველოს სატყეო სააგენტოს წარმომადგენლებს ქვეყანაში ოფიციალური ვიზიტის მიზნებისა და სამომავლო გეგმების შესახებ ინფორმაცია მიაწოდა. ჩინური მხარე საქართველოს სხვადასხვა ინდუსტრიაში ინვესტირებას გეგმავს. დელეგაციის საქმიანი წრეების წარმომადგენლები საქართველოს გარემოსა და სოფლის მეურნეობის სექტორით ინტერესდებიან. კერძოდ, სწრაფად განახლებადი ტყეების პლანტაციების გაშენებით, ხე-ტყის გადამამუშავებითა და ავეჯის წარმოებით. ჩინელი ინვესტორები ხის გადამამუშავებელი ქარხნების საქართველოში გადმოტანას და ქვეყანაში დამზადებული პროდუქციის ევროკავშირის ბაზარზე გატანას გეგმავენ. შეხვედრაზე მხარეებმა ამ მიმართულებით ურთიერთთანამშრომლობის შესაძლებლობები განიხილეს.

ძიანსის პროვინციის სატყეო დეპარტამენტი ხელს შეუწყობს ეროვნული და რეგიონული სატყეო-სამეურნეო ეკოლოგიური პროექტების შექმნას და დანერგვას, კომერციული ხასიათის ტყეების მართვას. ასევე, სამკურნალო თუ დასასვენებელი ტყე-პარკების კვლევას, მათთან დაკავშირებულ სწავლებებსა და განვითარებას;

24 იანვარს, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში, საჯარო სამსახურების დამმობილების პროექტის „ტყის მდგრადი მართვის გაძლიერება საქართველოში“ ფარგლებში, სატყეოს სექტორის სტრატეგიული დოკუმენტების მომზადებასა და განხორციელებაზე იმსჯელეს. ლიტვის რესპუბლიკის გარემოს დაცვის სამინისტროსა და უნგრეთის სატყეო კვლევების ინსტიტუტის წარმომადგენლებმა ქართულ მხარეს ამ მიმართულებით ევროკავშირის გამოცდილება გაუზიარეს.

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 მაისის N343 დადგენილებით დამტკიცებული „2014-2020 წწ. საქართველოს ბიომრავალფეროვნების სტრატეგია და მოქმედებათა გეგმა“, რომელიც გაერთიანებული ერების ბიომრავალფეროვნების შესახებ კონვენციის ეროვნულ დონეზე განხორციელების პრინციპული ინსტრუმენტია, ავალდებულებს ქვეყანას სატყეო სექტორის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავებას. აგრეთვე, მნიშვნელოვანია 2016 წელს ძალაში შესული საქართველოსა და ევროკავშირის შორის ასოცირების შესახებ შეთანხმება, რომლის თანახმადაც საქართველოს ევალება ტყის მდგრადი მართვის სისტემის შექმნა. ეს პროცესი კი მოითხოვს კონკრეტული ქმედებების დროში გაწერასა და ღონისძიებების გატარებას, შედეგების მონიტორინგსა და ანგარიშგებას. სწორედ ამ პროცესის თანმიმდევრულად წარმართვისთვის, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების დახმარებით (GIZ), მუშავდება სატყეო სექტორის რეფორმის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა.



შეხვედრაზე „საქართველოს სატყეო სექტორის რეფორმის სტრატეგიის“ სამუშაო დოკუმენტზეც იმსჯელეს.

შეხვედრას, ევროკავშირის, მსოფლიო ბანკის, სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები ესწრებოდნენ;

10 თებერვალს, ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსი თორნიკე გვაზავა გურიის რეგიონში (ENPI\_FLEG II) ევროპის სამეზობლო და საპარტნიორო ქვეყნებისთვის სატყეო სექტორში კანონიერების დაცვისა და მმართველობის გაუმჯობესების მეორე პროგრამის რეგიონალურ მრჩეველთა საბჭოს სხდომას დაესწრო. პროგრამა 2013 წლიდან ხორციელდება ევროკავშირისა და ავსტრიის მთავრობის დაფინანსებით. სატყეო სექტორის გაძლიერების ხელშემწყობ ღონისძიებებს მსოფლიო ბანკი, ბუნების დაცვის საერთაშორისო კავშირი (IUCN) და ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდი (WWF) ახორციელებდნენ. შეხვედრაზე განიხილეს მიღწეული შედეგები, მათ შორის, ჩოხატაურის სატყეო უბნის ტყის ინვენტარიზაციის სამუშაოები და მართვის გეგმა, რომელიც 2017 წელს 52 509 ჰა ფართობზე ჩატარდა და შემუშავდა ტყის მართვის გეგმა მომავალი 10 წლისთვის.

ღონისძიებას მსოფლიო ბანკის, WWF-ის, IUCN-ის წარმომადგენლები, ადგილობრივი თვითმმართველობის, ეროვნული სატყეო სააგენტოსა და გურიის სატყეო სამსახურის თანამშრომლები ესწრებოდნენ;

12 თებერვალს, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში მსოფლიო ბანკის წარმომადგენლების მიერ 2017 წელს განხორციელებული კვლევის შედეგების პრეზენტაცია გაიმართა. კვლევა ასახავს მოსახლეობის ტყეზე დამოკიდებულებასა და კავშირს ბუნებრივ კატასტროფებთან. კვლევის შედეგები დაეხმარება ტყის მართვის ორგანოებს ეფექტურად დაგეგმონ სექტორის განვითარებისა და ადგილობრივი მოსახლეობის შესაძლებლობების გაძლიერების ღონისძიებები.

შეხვედრას, მსოფლიო ბანკის სატყეო პროგრამების კოორდინატორი ტუკა კარსტენი, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ბიომრავალფეროვნებისა და სატყეო პოლიტიკის დეპარტამენტის უფროსი კარლო ამირგულაშვილი და ეროვნული სატყეო სააგენტოს სპეციალისტები ესწრებოდნენ;

23 თებერვალს, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრმა, ლევან დავითაშვილმა ამერიკის შეერთებულ შტატებში ვიზიტის ფარგლებში, შეხვედრა გამართა საქართველოს საპატიო კონსულთან, დევიდ შიმპთან. შეხვედრაზე საუბარი შეეხო სატყეო სექტორში აკადემიური და სამეცნიერო წრეების ჩართულობის მნიშვნელობას და ახალი პროექტის განხორციელებას. მინისტრის განცხადებით, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს პრიორიტეტი სატყეო სექტორში არსებული მდგომარეობის მნიშვნელოვნად გაუმჯობესებაა, რაც ტყის კოდექსის დამტკიცებას და იმპლემენტაციას გულისხმობს;

26 თებერვალს, სასტუმრო “Rooms Hotel Tbilisi”-ში „ტყის კოდექსის“ საჯარო განხილვა გაიმართა. გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრმა ლევან დავითაშვილმა საერთაშორისო და

არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს “ტყის კოდექსის“ კანონპროექტის სამუშაო ვერსია გააცნო. სამინისტრომ ახალი „ტყის კოდექსის“ კანონპროექტის შემუშავება 2014 წელს დაიწყო.

კანონპროექტი შემუშავდა ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის - „სატყეო სექტორში კანონიერების დაცვისა და მმართველობის გაუმჯობესების პროგრამა ევროპის სამეზობლო და საპარტნიორო ინსტრუმენტით მოცული აღმოსავლეთის ქვეყნებისთვის - მეორე ფაზა (ENPI FLEG II)“, ფარგლებში, რომელიც განახორციელა მსოფლიო ბანკმა.

შეხვედრას საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან ერთად, სხვა დაინტერესებული მხარეები ესწრებოდნენ. კანონპროექტის ძირითადი მიმართულებების განხილვის შემდეგ, მათ მიერ წარმოთქმული შენიშვნები და მოსაზრებები გათვალისწინებული იქნება „ტყის კოდექსის“ კანონპროექტის საბოლოო დოკუმენტში.

კანონპროექტი „საქართველოს ეროვნული სატყეო კონცეფციიდან“ გამომდინარე, ტყის მდგრადი მართვის პრინციპებს ემყარება. საქართველოს ტყეების მართვა ეკოლოგიური, სოციალური და ეკონომიკური პრინციპების გათვალისწინებით უნდა განხორციელდეს. ასევე, დგინდება ტყის ახალი განმარტება და კატეგორიზაციის სრულიად ახლებური წესი. თითოეული კატეგორიის ტყე გამოყოფილია მისი ფუნქციური დანიშნულებიდან გამომდინარე. კანონპროექტის ერთ-ერთ მთავარ სიახლეს წარმოადგენს საქართველოში ტყეზე საკუთრების ახალი ფორმების შემოღება.

შეხვედრას აღმასრულებელი და საკანანმდებლო ორგანოსა და დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები ესწრებოდნენ;

გაეროს გენერალური ასამბლეის გადაწყვეტილებით, 21 მარტს ტყის საერთაშორისო დღე აღინიშნება, რომლის მიზანიც ტყის მნიშვნელობის შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლებაა.

ტყის საერთაშორისო დღის აღსანიშნავად, ქ. ქუთაისში, პარლამენტის შენობაში, ნიკო კეცხოველის სასკოლო კონკურსის ფინალური ტური და დაჯილდოების ცერემონია გაიმართა.

ნიკო კეცხოველის კონკურსი ყველაზე მასშტაბური გარემოსდაცვითი სასკოლო კონკურსია, რომელიც 2014 წელს, კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელი (CENN) მიერ პროექტის „ტყის მდგრადი მართვა“ ფარგლებში, ავსტრიის განვითარების სააგენტო ფინანსური მხარდაჭერით (ADC) დაარსდა.



## საზოგადოებასთან ურთიერთობა და განათლება

1 იანვარს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი ლევან დავითაშვილი მცხეთა-მთიანეთის რეგიონში იმყოფებოდა, სადაც სატყეო სამსახურის თანამშრომლებს შეხვდა და რეგიონში სატყეო მიმართულებით მიმდინარე და დაგეგმილ პროექტებს ადგილზე გაეცნო;

11 იანვარს სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსის მოადგილე ნათია იორდანიშვილი სატყეო საქმის სპეციალისტის სასწავლო პროგრამის შესახებ ტელეკომპანია „რუსთავი-2“-ის ეთერში ისაუბრა;

17 იანვარს ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსი თორნიკე გვაზავა მცხეთა-მთიანეთის რეგიონში იმყოფებოდა, სადაც საზღვრისპირა სოფლების სათბობი შეშით მომარაგების პროცესს დუშეთის მუნიციპალიტეტის მერთან ზურაბ სეხნიაშვილთან ერთად ადგილზე დაესწრო;

6 თებერვალს ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსის მოადგილე ნათია იორდანიშვილი გადაცემა „აქტუალური თემა“ ტყითსარგებლობის მარეგულირებელ დადგენილებებში ცვლილებების შესახებ ისაუბრა;

9 თებერვალს ეროვნული სატყეო სააგენტო, კომპანია BP-ის მხარდაჭერით, იმერეთის რეგიონში წაბლნარი ტყეების აღდგენის ღონისძიებები უცხოელ ექსპერტებთან ერთად ადგილზე დაგეგმა;

16 თებერვალს ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსის მოადგილე ნათია იორდანიშვილი გადაცემა „რეალური სივრცე“ ბორჯომ-ბაკურიანის ხანძრის გამომწვევ მიზეზებზე, ხანძრის განმეორების საფრთხეზე, პრევენციულ ღონისძიებებზე ისაუბრა;

19 თებერვალს ახალციხის საზოგადოებრივ კოლეჯში “ოპიზარი” სატყეო საქმის სპეციალისტის სასწავლო პროგრამა დაინერგა;

21 თებერვალს ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსი თორნიკე გვაზავა, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის მიერ დაფუძნებული ფონდის „გამწვანე საქართველო“-ს ინიციატივით, ლიტვის რესპუბლიკის ელჩს საქართველოში გეიდრიუს პუოჯიუნასის შეხვდა;

12 მარტს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე სოლომონ ჰავლიაშვილი ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსთან თორნიკე გვაზავასთან ერთად სატყეო სააგენტოს რეგიონული სამსახურების ხელმძღვანელებს შეხვდა;

21 მარტს, დაუნის სინდრომის მსოფლიო და ტყის საერთაშორისო დღის აღსანიშნავად, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინიციატივით, ქ. ქუთაისში დაუნის სინდრომის მქონე ბავშვებმა, ეროვნული სატყეო სააგენტოს წარმომადგენლებთან ერთად, მე-8 საბავშვო ბაღის მიმდებარე ტერიტორიაზე 150-მდე მუხის, კოპიტისა და წიწვოვანი სახეობის ხეები დარგეს;

27 მარტს ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსის მოადგილე ნათია იორდანიშვილი გადაცემაში "სხვა შუადღე" აქცია „ნუ მოჭრი ბზას!“ შესახებ საუბრობს;

28 მარტს ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსის მოადგილე ნათია იორდანიშვილი “იმედის დილაში” აქცია „ნუ მოჭრი ბზას!“ შესახებ საუბრობს;

28 მარტი - ეროვნული სატყეო სააგენტო მიმდინარე წლის აპრილიდან იწყებს ბზის კორომების დაზიანებული ფართობების დამუშავებას. სამეგრელო-ზემო სვანეთის, იმერეთის, გურიისა და რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთის რეგიონებში ბიოლოგიური პრეპარატით დამუშავდება სახელმწიფო ტყის ფონდის 550 ჰა-მდე ფართობი;

29 მარტს სატყეო სააგენტოს უფროსის მოადგილე ნათია იორდანიშვილი კოლხური ბზის გადარჩენის შესახებ ტელეკომპანია "მაესტროს" კითხვებს პასუხობს;

29 მარტს ტელეკომპანია იმედის სიუჟეტში ნათია იორდანიშვილი აქცია „ნუ მოჭრი ბზას!“ შესახებ საუბრობს;

30 მარტი - გადაცემა “ქალების ნარატივი” მეტყვევ ნათია იორდანიშვილს მიემძვნა;

30 მარტს ტელეკომპანია იმედის ეთერში გავიდა სიუჟეტი კოლხური ბზის შესახებ;

31 მარტს ტელეკომპანია „იმედი“-ს ეთერში გავიდა სიუჟეტი ეროვნული სატყეო სააგენტოს, შიდა ქართლის სატყეო სამსახურის თანამშრომლების მიერ ხაშურის მუნიციპალიტეტში ხე-ტყის უკანონოდ მოპოვებისა და ტრანსპორტირების ფაქტის გამოვლენის შესახებ;

5 აპრილს ეროვნული სატყეო სააგენტოს ქვემო ქართლის სატყეო სამსახურის თანამშრომლების მიერ ბოლნისის მუნიციპალიტეტში ხე-ტყის უკანონო მოპოვებისა და ტრანსპორტირების ფაქტი გამოვლინდა. სიუჟეტი გავიდა ტელეკომპანია „იმედი“-ს ეთერში;

11 აპრილს ეროვნული სატყეო სააგენტოს ქვემო ქართლის სატყეო სამსახურის თანამშრომლებმა თეთრიწყაროში სახელმწიფო ტყის ფონდის ტერიტორიიდან ხე-ტყის უკანონო ტრანსპორტირების ფაქტი გამოავლინეს. სიუჟეტი გავიდა ტელეკომპანია „იმედი“-ს ეთერში;

1-ლი კვარტლის განმავლობაში დამზადდა 16 საინფორმაციო ბანერი;

მედიაში სააგენტოს საქმიანობის გაშუქება - 22 სიუჟეტი და სტატია;

დაკმაყოფილდა 30 მოთხოვნა საჯარო ინფორმაციაზე.

## ადამიანური რესურსების მართვა და საქმისწარმოება

- 2018 წლის 1 კვარტალში სააგენტოს კანცელარიიდან გასულია 3211, შემოსულია 8489 კორესპონდენცია, სააგენტოს თანამშრომელთა მიერ მომზადებულია 2760 მოხსენებითი, 1553 - სამსახურებრივი ბარათი. სააგენტოს კანცელარიაში შემოსულია მოქალაქეთა 1451, თანამშრომელთა 135 განცხადება;
- მომზადდა 1262 ბრძანება თანამშრომელთა დანიშვნა-გათავისუფლებისა და ტყის მცველთათვის სამოქმედო ტერიტორიის განსაზღვრის შესახებ, 68 ბრძანება - თანამშრომელთა მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის გამოყენების შესახებ, 207 ბრძანება - თანამშრომელთა შვებულებისა და საავადმყოფო ფურცელზე ყოფნის შესახებ, 200 ბრძანება - მივლინების შესახებ; გაფორმდა 52 შრომითი ხელშეკრულება.
- საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ეროვნული სატყეო სააგენტოს აპარატისა და ტერიტორიული ორგანოების ზოგიერთ თანამდებობაზე დასანიშნად შესაბამისი კანდიდატების კონკურსის წესით შერჩევის მიზნით მომზადდა 7 ბრძანება კონკურსის გამოცხადების შესახებ, შეიქმნა საკონკურსო კომისიები, რომელთა მონაწილეობით სააგენტოს აპარატში და ტერიტორიულ ორგანოებში ჩატარდა კონკურსები ვაკანტურ თანამდებობებზე.